

საქართველო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სასწავლო უნივერსიტეტი  
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის  
რექტორი \_\_\_\_\_ ი. შარაბიძე



07.04.2015

## წარჩინებული სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი

ND 2-014

შეთანხმებულია

რექტორის პირველი მოადგილე \_\_\_\_\_ ი.კაცაძე

რექტორის მოადგილე \_\_\_\_\_ ა.კახიძე

რექტორის მოადგილე \_\_\_\_\_ მ.ლორია

შემუშავებულია:

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი \_\_\_\_\_ რ.ყიფიანი

ND 2-014  
სტატუსი: მოქმედი  
რევიზია № 1  
რევიზიის თარიღი 07.04.2015  
მოქმედებაშია 07.04.2015



## შინაარსი

1.	ნორმატიული ბაზა -----	3
2.	გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტება -----	3
3.	ზოგადი დებულებები -----	4
4.	სტიპენდიის დანიშვნის და გაცემის წესი -----	4
5.	წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა -----	6
6.	გავრცელების არე -----	6

ND 2-014

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 07.04.2015

მოქმედებაშია 07.04.2015

შეუქმედად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენაობა ნაბეჭდი ანუ მის არ აქვს რევიზიის „ღირებულება“. რევიზიის ასახვა დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ბარისხის სანაშარი პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ანუ იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



## 1. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ ND 1-01-01(43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);
2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001; (30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი);
3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესი ND 2-002; (37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ1“ ქვეპუნქტი)

## 2. გამოყენებული ტერმინებისა და შემოკლებების განმარტებები

### 2.1 ტერმინები

1. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
2. **სენატი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
3. **რექტორი** – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის თავმჯდომარე;
4. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-დადამინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას;
5. **დეკანი** - უმაღლეს სასწავლებელში: ფაკულტეტის ხელმძღვანელი პირი;
6. **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას;
7. **კატეგორია** - A კატეგორია - სტუდენტის საბოლოო შეფასება 91-100 ქულა; B კატეგორია - სტუდენტის საბოლოო შეფასება 81-90 ქულა;

### 2.2 შემოკლებები

**ND** – ნორმატიული დოკუმენტი;

ND 2-014

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 07.04.2015

მოქმედებაშია 07.04.2015

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის აჩვენა ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანეს პროექტზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით. წინასწარ შეთანხმება ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის საშუალო პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა

### 3. ზოგადი დებულებები

- 3.1. წარჩინებულ სტუდენტთა წახალისებისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მოტივაციის ამაღლების მიზნით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდეგში აკადემია) სენატმა გადაწყვიტა ბიუჯეტში გაითვალისწინოს სასტიპენდიო ფონდის გამოყოფა;
- 3.2. წინამდებარე წესი არეგულირებს საზღვაო აკადემიის წარჩინებულ სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესს;

### 4. სტიპენდიების დანიშვნის და გაცემის წესი

- 4.1. აკადემიის ბიუჯეტში გამოყოფილი სასტიპენდიო თანხის ფაკულტეტებზე განაწილება მოხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე, ბაკალავრიატის თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად;
- 4.2. მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამის წარჩინებულ სტუდენტებს სტიპენდიები ენიშნებათ ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ბრძანების საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
  - 4.2.1. სტიპენდია 100 ლარის ოდენობით (A კატეგორიის სტიპენდია) დაენიშნება სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება წინა სემესტრის შედეგებით განპირობებულია მხოლოდ A კატეგორიის შეფასებებით ყველა სასწავლო კურსში (სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი არ უნდა იყოს 60 ECTS-ზე ნაკლები);
  - 4.2.2. სტიპენდია 50 ლარის ოდენობით (B კატეგორიის სტიპენდია) დაენიშნება სტუდენტს, რომლის აკადემიური მოსწრება წინა სემესტრის შედეგებით განპირობებულია მხოლოდ A ან B კატეგორიის შეფასებებით ყველა სასწავლო კურსში (სასწავლო კურსების კრედიტების ჯამი არ უნდა იყოს 60 ECTS-ზე ნაკლები);
  - 4.2.3. თუ A კატეგორიის სტიპენდიის მაძიებელთა რაოდენობა აჭარბებს გამოყოფილი სასტიპენდიო თანხით მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაშინ სტიპენდია დაინიშნება წინა სემესტრის შეფასებების საუკეთესო საშუალო

ND 2-014

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 07.04.2015

მოქმედებაშია 07.04.2015

შეუქმად არ ჩაითვლება დოკუმენტის ანგარიშ ნაბეჭდი ასლი. თუ მას არ აქვს რევიზია „დრეფტული ვერსიის“ რევიზია ასლზე დაატანს პროფესორ პანუხისძემელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი ჩაითვლება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილეთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



- არითმეტიკული ქულის მაჩვენებლის მიხედვით. ამ შემთხვევაში B კატეგორიის სტიპენდია არ გაიცემა;
- 4.2.4. B კატეგორიის სტიპენდია გაიცემა, მხოლოდ A კატეგორიის სტიპენდიის მაძიებელთა დაკმაყოფილების შემდეგ, დარჩენილი სასტიპენდიო თანხის საფუძველზე;
- 4.2.5. თუ B კატეგორიის სტიპენდიის მაძიებელთა რაოდენობა აჭარბებს სასტიპენდიო თანხით მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას, მაშინ სტიპენდია დაინიშნება წინა სემესტრის შეფასებებში მეტი A კატეგორიის ან/და საუკეთესო საშუალო არითმეტიკული ქულის მაჩვენებლის მიხედვით;
- 4.2.6. თუ მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაზე A და B კატეგორიის სტიპენდიების დანიშვნის შედეგად არ მოხერხდა სასტიპენდიო თანხის ბოლომდე ათვისება, მაშინ ფაკულტეტის დეკანს აქვს უფლება დარჩენილი თანხა გამოიყენოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებზე სტიპენდიის დანიშვნის მიზნით;
- 4.2.7. თუ ფაკულტეტზე, ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე A და B კატეგორიის სტიპენდიების დანიშვნის შედეგად არ მოხერხდა ფაკულტეტისათვის გამოყოფილი სასტიპენდიო თანხის ბოლომდე ათვისება, მაშინ დარჩენილი თანხა უბრუნდება აკადემიის ბიუჯეტს;
- 4.2.8. სტიპენდიის მაძიებელ სტუდენტთა კონკურენციის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება A კატეგორიის საუკეთესო ქულების მქონე სტუდენტებს.
- 4.3 სტუდენტს სტიპენდია ენიშნება ერთი სემესტრის ვადით, სემესტრის დაწყებიდან საგამოცდო სესიების დასრულებამდე;
- 4.4 ფაკულტეტი სტიპენდიის მაძიებელთა კანდიდატებად განიხილავს მხოლოდ იმ სტუდენტებს, ვისაც დროულად აქვთ გავლილი ფინანსური და აკადემიური რეგისტრაცია და აქვთ აღებული აკადემიური დატვირთვა არანაკლებ 60 ECTS კრედიტისა;
- 4.5 სტიპენდია არ გაიცემა იმ სტუდენტებზე, რომლებსაც შეჩერებული ქონდათ სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სტატუსის შეჩერების მიზეზი საცურაო პრაქტიკის გავლაა შორეული ნაოსნობის გემებზე, რაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით;
- 4.6 შეფასებისა და გამოცდების სამსახური სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში სტუდენტთა რეიტინგულ სიებს აწვდის ფაკულტეტებს. ფაკულტეტის საბჭო წინამდებარე წესის იღებს გადაწყვეტილებას სტიპენდიების დანიშვნასთან დაკავშირებით და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის სენატს.

ND 2-014

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 07.04.2015

მოქმედებაშია 07.04.2015

შეშვად ან ჩათვალს დოკუმენტის ავთენტურობის ნიშნად აქლი თუ მას არ აქვს რევიზია "დრეზული ცვლელარი". რევიზია აქლი დაცვას პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში აქლი ჩათვალს როგორც "არაკონტროლირებადი" დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხელი და კონტროლირებადი აქლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)



**სტიპენდიანტთა საყურადღებოდ!**

სტიპენდიანტს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში ჩამოერთმევა სტიპენდია.

## 5. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1 ცვლილების ინიციატორი შეიძლება იყოს სენატის წევრი.

5.2 წესის და მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების დამტკიცება ხდება სენატის მიერ.

## 5. გავრცელების არე

6.1 დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;

6.2 დოკუმენტის საკონტროლო ექზემპლარი ინახება ფაკულტეტებზე;

6.3 დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

6.4 დოკუმენტის ელექტრონული ვერსია განთავსებულია [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)

ND 2-014

სტატუსი: მოქმედი

რევიზია № 1

რევიზიის თარიღი 07.04.2015

მოქმედებაშია 07.04.2015

მოქმედად არ მათვალვება დოკუმენტის აჩვენები ნაბეჭდი ასლი თუ მას არ აქვს რევიზიის აღრიცხული ეგზემპლარი. რევიზიის ასლზე დატანება პროცესზე პასუხისმგებელი პირის მოთხოვნით, წინააღმდეგ შემთხვევაში ასლი მათვალვება როგორც „არაკონტროლირებადი“ დოკუმენტი და მასზე ხარისხის სამსახური პასუხისმგებლობას არ იღებს. დოკუმენტის ხილი და კონტროლირებადი ასლი იხილოთ ვებგვერდზე [www.office.bsma.edu.ge](http://www.office.bsma.edu.ge)